



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

„საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სადოქტორო პროგრამა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი - თბილისი,

2019 წლის 06 აგვისტო

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი

2019 წლის 23 სექტემბერი

თბილისი 2019 წელი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი	211328703
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვა
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი 0904 საზოგადოებრივი ჯანდაცვა
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ასოცირებული პროფესორი ვერიკა ჯოვანოვიჩი/სინგიდუნუმის უნივერსიტეტი/სერბეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინსტიტუტი/სერბეთი
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ასოცირებული პროფესორი თამაზ ვალიშვილი/აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი/ საქართველო/ ქუთაისი
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დოქტორი ირაკლი გაგუა/საქართველო
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ქ-ნი ლანა ბოკუჩავა (სტუდენტი ექსპერტი)/ საქართველო

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სადოქტორო პროგრამას „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ აკრედიტაცია მიენიჭა 2014 წელს (გადაწყვეტილება N117, 27/05/2014წ.) მოცემული სადოქტორო პროგრამა განიხილება როგორც ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც აერთიანებს სასწავლო კომპონენტს და ინდივიდუალურ სადოქტორო კვლევით პროგრამებს და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვადასხვა ქვესექციის/ქვედანაყოფის რელევანტურია.

სადოქტორო პროგრამა საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიზნები შემდეგია:

- აკადემიური დოქტორის მომზადება, რომელსაც აქვს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს სისტემური აღქმა, ფუნდამენტური და სისტემური ცოდნა, შესაბამისი კვალიფიკაცია სამეცნიერო-კვლევით მეთოდების ფლობასთან მიმართებაში და კომპეტენცია სფეროში წარმატებული კვლევითი/აკადემიური საქმიანობის წარმართვისათვის.
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს სხვადასხვა დონეზე/ეტაპზე კონკურენტუნარიანი და ეფექტურად მომუშავე აკადემიური დოქტორების მომზადება, რომლებიც შეძლებენ პროფილაქტიკური და ჯანმრთელობის ხელშეწყობი კონკურენტუნარიანი პროგრამების, გარემოსდაცვითი მედიცინის პროგრამების, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის, პროფესიონალური მედიცინის, ჯანდაცვის ადმინისტრირების და მენეჯმენტის, უსაფრთხო კვების, დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების კონკურენტულად შემუშავებას, დაგეგმვასა და განხორციელებას, აგრეთვე სამედიცინო, მათ შორის სამკურნალო პროგრამების მართვას და ა.შ.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამის საჭიროება შეესაბამება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მისიას და ღირებულებებს, ეხმიანება ადამიანის სიცოცხლის ხარისხის დაცვას და გაუმჯობესებას, სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებსა და პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემას.

პროგრამის სტრუქტურა: პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს (ერთი კრედიტი უტოლდება 30 საათს). სადოქტორო კვლევითი კომპონენტი ხორციელდება სამი წლის (6 სემესტრის) განმავლობაში დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად. დოქტორანტის დატვირთვა, საკონტაქტო საათები და დამოუკიდებელი მუშაობისთვის გამოყოფილი საათები წარმოდგენილია საკრედიტო სისტემაში. სადოქტორო პროგრამის (180 კრედიტის) დიდი ნაწილი (135 კრედიტი=75%) გამოყოფილია კვლევითი კომპონენტის - სამეცნიერო კვლევისათვის, რომლის თეორიულ და ექსპერიმენტულ შედეგებს აქვს არსებითი მნიშვნელობა საზოგადოებრივი ჯანდაცვის შემსწავლელი მეცნიერებისათვის.

სადოქტორო პროგრამების კვლევითი კომპონენტი მოიცავს ინდივიდუალურ სადოქტორო კვლევით პროგრამას, პროგრამის განხორციელების გეგმას, სავალდებულო სამეცნიერო აქტივობებს (სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობას, სამეცნიერო ნაშრომების პუბლიკაციას, მოხსენებებს და სხვ.) პროგრამის დასრულებისათვის, სადისერტაციო ნაშრომის შესრულებასა და დისერტაციის დაცვას. კვლევითი პროგრამა ინდივიდუალურია და ხორციელდება ერთი დოქტორანტის მიერ (ძირითადი მკვლევარი) კვლევის ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ.

კვლევითი კომპონენტის შეფასების ფორმას წარმოადგენს დოქტორანტის ყოველწლიური ატესტაცია (ანგარიში) ძირითადი დეპარტამენტების წინაშე. დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის შედეგს წარმოადგენს სამეცნიერო დისერტაცია, რომელიც მოიცავს სამეცნიერო სიახლეს.

დოქტორანტურა სრულდება დისერტაციის საჯარო დაცვით. სადოქტორო დისერტაციის წარმატებით დაცვის შემდეგ კურსდამთავრებულს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს

შესაბამისად, ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი საზოგადოებრივ ჯანდაცვაში.

ამ პროგრამაში წარმოდგენილი ცვლილებები ემყარება პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის და მოწვეული პერსონალის, ასევე სტუდენტთა და ნაწილობრივ კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვებს; მხედველობაში იქნა მიღებული სახელმწიფო პოლიტიკა ჯანდაცვის სფეროში, საზოგადოების მოთხოვნები და საჭიროებები, ასევე, შრომის ბაზრის საუკეთესო პრაქტიკა და ანალიზი. ცვლილებები შეტანილ იქნა ძირითადად პროგრამის სასწავლო კომპონენტში, კერძოდ, შეიცვალა აკადემიური კურსების სახელწოდებები და კრედიტების რაოდენობა ("სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგია" და "ბიოსტატისტიკა" გაერთიანდა ერთი სახელწოდების ქვეშ "სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგია და ბიოსტატისტიკა" და ამ კურსს გამოეყო 7 კრედიტი, კურსს "უმაღლესი განათლების პედაგოგიკა და ფსიქოლოგია" ამჟამად 3-ის ნაცვლად აქვს 5 კრედიტი, სახელწოდება "ბიოეთიკა" შეიცვალა სახელწოდებით "ბიოსამედიცინო მეცნიერების ეთიკა" და მისი 3 კრედიტი გაიზარდა 4 კრედიტამდე, უცხო ენას - "პროფესიულ სამედიცინო ინგლისურ ენას" აქვს ამჟამად 10 კრედიტი 9-ის ნაცვლად).

არჩევითი კურსების მოცულობა გაიზარდა (გახდა 4 კრედიტი 2-ის ნაცვლად) და აკადემიური კურსების რაოდენობაც გაიზარდა 3-დან 8-მდე, რამაც უზრუნველყო დოქტორანტები არჩვანის მეტი შესაძლებლობებით. მოდული "ახალი საზოგადოებრივი ჯანმთელობა" ამოღებულ იქნა პროგრამიდან. არჩევით კურსებს დაემატა კვლევის სპეციფიკურობით განსაზღვრული მომიჯნავე სპეციალობა. აკადემიური წერა ინგლისურში გადატანილ იქნა სავალდებულო კურსებიდან არჩევით კურსებში, ასევე, ამ კომპონენტს დაემატა უცხო ენები - გერმანული/ ფრანგული/რუსული. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად აკადემიური კურსი "მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრაქტიკაში" (2 კრედიტი) დაემატა არჩევით კურსებს.

პროგრამის მმართველმა გუნდმა და პროფესორებმა შეიმუშავეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, მათ შორის, განსაზღვრეს მიზნობრივი ნიშნულები სწავლის შედეგების შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის შედეგების სანდოობასა და საიმედოობას. ამ წესის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების პირველი შეფასება განხორციელდება 2022 წლის 1 ივლისამდე.

განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს თანახმად, სწავლის შედეგები შემუშავდა კვალიფიკაციების მე-8 (სადოქტორო) ციკლის შესაბამისი სწავლისა და გააზრების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მიხედვით. ამრიგად, სადოქტორო პროგრამასა და აკადემიური კურსების სილაბუსებში განხორციელდა ცვლილებები. გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელებმა გაითვალისწინეს აკრედიტაციის (2014 წლის) ექსპერტთა რეკომენდაციები, ასევე, გარე ექსპერტების რჩევები და პროგრამა შესაბამისად შეიცვალა.

პროგრამაში ცვლილებების შესახებ გაიმართა მსჯელობა და ისინი დამტკიცებულ იქნა თსსუ-ში მიღებული წესის თანახმად. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისა და სწავლის შედეგების სისტემატურ ანალიზსა და მონიტორინგს, რაც იძლევა პროგრამის ძლიერი მახრეებისა და გასაუმჯობესებელი სფეროების გამოვლენის შესაძლებლობას და შესაბამისი ზომების დაგეგმვას. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა საუკეთესო გამოცდილება და გამოყენებულ იქნა პროგრამის ხელმძღვანელებისა და თვითშეფასების გუნდის მიერ, რათა პროგრამა მოეყვანათ თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

ამ პერიოდში მოხდა მემორანდუმების განახლება და ხარისხობრივი ცვლილება. თსსუ-ს აქვს მემორანდუმები დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრთან, სსიპ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის

სამინისტროს სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან, სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან და შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის ინსტიტუტთან; ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის სამედიცინო, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული საკითხების ცენტრ "ურანტთან".

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი 2019 წლის 6 აგვისტოს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობითა და საქართველოში არსებული პროცედურების თანახმად, განხორციელდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში.

ექსპერტთა ჯგუფი დაკომპლექტდა 4 ექსპერტისაგან და დაევალა სასწავლო პროგრამის გაანალიზება სხვადასხვა დოკუმენტების გამოყენებით და პროგრამის შესახებ არსებული მონაცემების მეშვეობით. ყოვლისმომცველი ანალიზისათვის საჭირო ყველა დოკუმენტი წინასწარ მიეწოდა ექსპერტთა ჯგუფს. ანალიზი დაეფუძნა თვითშეფასების ანგარიშის შინაარსს, ისევე, როგორც ადგილზე ვიზიტისას პერსონალისა და პროგრამის წარმომადგენლების ინტერვიუებისას შეკრებილ მონაცემებს.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი იყო თვითშეფასების ანგარიში. თვითშეფასების ანგარიში მოამზადა თვითშეფასების ჯგუფმა და ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა ადგილზე ვიზიტამდე. თვითშეფასების გუნდი, რომელსაც დაევალა ანგარიშის მომზადება შედგებოდა ფაკულტეტის დეკანის, დეკანის მოადგილის, პროგრამის ხელმძღვანელების, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტისა და დამსაქმებლისაგან.

ადგილზე ვიზიტისას, რომელიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში განხორციელდა 6 აგვისტოს, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა გაემართა საფუძვლიანი მსჯელობა პროგრამის თაობაზე ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების გუნდთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

პროგრამის სხვადასხვა მახასიათებლებსა და მიღწევებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე წარმომადგენლებთან ყველა შეხვედრისა და მსჯელობის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა მოამზადა წინასწარი დასკვნა. ექსპერტთა ჯგუფის წევრების მოსაზრებები დაზუსტდა და შეთანხმდა, რათა წარმოედგინა მთელი ექსპერტთა ჯგუფის ჰარმონიზებული შეხედულებები.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის რეზიუმე

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული შეფასების პროცესი ეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამის სიღრმისეულ ანალიზს და დაწესებულების კრიტიკულ მიმოხილვას, ისევე, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესების გზებსა და საშუალებებს. თვითშეფასების ანგარიში იყო კარგად სტრუქტურირებული და მკაფიო. თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ყველა განაცხადი სწორად იყო აღწერილი და ემყარებოდა შესაბამის მტკიცებულებებს. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, თვითშეფასების ანგარიში სრულყოფილია და შედგენილი. თვითშეფასების ფორმით წარმოდგენილი მონაცემები პირდაპირ ეხმიანება სტანდარტული კომპონენტების აღწერილობის მოთხოვნებს და შეფასების კრიტერიუმებს. გარდა ამისა, შესაბამისი დოკუმენტებისა და ინფორმაციის ნუსხა მოცემულია ცხრილში, რომელშიც წარმოდგენილია სტანდარტების დოკუმენტური მტკიცებულებები / ინდიკატორები. საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი მხარეები და გასაუმჯობესებელი სფეროები

წარმოდგენილია თითოეულ სტანდარტთან მიმართებაში, სტანდარტის თითოეული კომპონენტის გათვალისწინებით.

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამა მკაფიოდ ადგენს მის მიზნებსა და სწავლის შედეგებს, რომლებიც ლოგიკურადაა დაკავშირებული ერთმანეთთან და შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება პედაგოგებისა და პროგრამის ხელმძღვანელების მიერ ხდება რეგულარულად და შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. უნივერსიტეტის ექსპერტებისა და პროგრამის მენეჯმენტის მიერ ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილმა მტკიცებულებებმა დაადასტურეს, რომ პროგრამის კომპონენტები უზრუნველყოფენ კომპონენტის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, მისთვის გამოყოფილი კრედიტ-საათების რაოდენობისა და გამოყენებული სწავლების მეთოდების გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სწავლის შედეგების ჩამონათვალი ასახავს დოქტორანტურის კვალიფიკაციის შესაბამის დონეს (დოქტორანტურა საზოგადოებრივ ჯანდაცვაში). სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფენ კურსდამთავრებულთა შესაძლებლობას, რომ იყვნენ აღიარებულნი ეროვნულ, ისევე, როგორც საერთაშორისო შრომის ბაზარზე. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამასა და დამსაქმებელ პარტნიორებს შორის არსებობს თანამშრომლობისა და მონაწილეობის სწორი მექანიზმი, რომელიც ჩამოყალიბებული და განხორციელებულია; ეს თანამშრომლობა საშუალებას აძლევს პროგრამის მენეჯმენტს, რომ გაითვალისწინოს დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებები, რჩევები, ინიციატივები და უზრუნველყოს პროგრესი პროგრამის განვითარებაში. სადოქტორო პროგრამის ძლიერი მხარეები და გასაუმჯობესებელი სფეროები წარედგინა ექსპერტთა ჯგუფს თითოეული სტანდარტის მიხედვით, სტანდარტის თითოეული კომპონენტის გათვალისწინებით, რაც ჩაითვალია ძალიან კარგ მეთოდოლოგიად პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესებისათვის.

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2. პროგრამის სტრუქტურა, სწავლების მეთოდოლოგია და სტუდენტთა შეფასება

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინისა და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამას განსაზღვრული აქვს შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საქართველოს მოქალაქეები და უცხოელები დაიშვებიან სადოქტორო პროგრამაზე. დაშვების წესები განსაზღვრულია საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ კონკრეტულ სადოქტორო კვლევით პროგრამაზე. ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ პროგრამის კომპონენტების თანამიმდევრობა და დაშვების წინაპირობები ლოგიკურია და შეესაბამება ეროვნულ და საერთაშორისო მოთხოვნებსა და პრაქტიკას.

მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ სადოქტორო პროგრამა "საზოგადოებრივი ჯანდაცვა" წარმოადგენს დეცენტრალიზებულ სადოქტორო პროგრამას, დამყარებულს კვლევის მეთოდებსა და სტატისტიკურ ანალიზზე. მისი კვლევითი ნაწილი, სასწავლო კურსები ემყარება თანამედროვე სამეცნიერო ცოდნას. ეს გულისხმობს საზოგადოებრივ ჯანდაცვაში დაგროვილი

და უახლესი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნისა და მეთოდოლოგიის სწავლის პროცესში სრულ და ადეკვატურ ჩართულობას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლა ემყარება სტუდენტზე ორიენტირებულ მეთოდებს. კვლევითი მუშაობა გულისხმობს დოქტორანტების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, მათ შორის პრაქტიკულ აქტივობებს, ჯგუფურ მუშაობას, სიტუაციურ ანალიზს, დისკუსიებს, ქეისების ანალიზს, დისერტაციის მომზადებასა და პრეზენტაციას, ემპირიულ სწავლას, სემინარებსა და პროექტებს.

ექსპერტთა ჯგუფის დაკვირვების თანახმად, პროგრამის თითოეული კომპონენტის შეფასება შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან. ასევე, სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და სტუდენტები ინფორმირებულნი არიან სწავლის შედეგების მიღწევაზე, მათ ხარვეზებსა და გაუმჯობესების შესაძლებლობებზე

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.სტუდენტთა მხარდაჭერის მომსახურებები

სტუდენტები უნივერსიტეტისაგან იღებენ სათანადო კონსულტაციებსა და დახმარებას. ისინი ჩართულნი არიან სადოქტორო პროგრამის დაგეგმვის პროცესში. პროგრამის კურსდამთავრებულთა უმეტესობა დასაქმებულია.

სტუდენტებს გააჩნიათ საკმარისი ინფორმაცია სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებულ ყველა შესაბამის საკითხსა და თემასთან, ისევე, როგორც გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი მასში. პროფესორები და სხვა აკადემიური პერსონალის დატვირთვის გეგმა, მათ შორის სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა, მოიცავს რეგულარული კონსულტაციებს და თუ საჭიროა, მცირე ჯგუფებში გამართულ შეხვედრებს. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ეხმარება სტუდენტთა ჩართულობას კვლევით პროექტებში და დამატებით აქტივობებში საერთაშორისო სტუდენტური გაცვლითი პროექტების მეშვეობით. უნივერსიტეტი მიზნად ისახავს მისი სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ინტერნაციონალიზაციას, მათთვის ევროპულ და სხვა (CDC და ა.შ.) პროექტებში მათი მონაწილეობის შესაძლებლობის, სტუდენტებისათვის გაცვლითი შესაძლებლობების უზრუნველყოფითა და უცხოენოვანი სასწავლო პროგრამების შეთავაზებით.

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.სასწავლო რესურსები

უნივერსიტეტს გააჩნია სათანადო ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა, რათა უზრუნველყოს სადოქტორო პროგრამის სწავლისა და სწავლების პროცესის ეფექტიანობა. უსდ-ს მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფენ დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

სადოქტორო პროგრამის განხორციელებისათვის უნივერსიტეტის მეტად მნიშვნელოვანი რესურსია ადამიანური რესურსები. სადოქტორო პროგრამის პერსონალს გააჩნია დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო კომპეტენციები. სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებს საბოლოო ჯამში 29 ადამიანი. მათგან 20 აკადემიური პერსონალი (12 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი) და 9 მოწვეული პერსონალია. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა სტუდენტთა რაოდენობის ადეკვატურია;

გარდა ამისა, თსუ-ს ადმინისტრაცია ეხმარება სადოქტორო პროგრამას განხორციელებაში. პროგრამის განხორციელების ხელშეწყობისათვის პროგრამის სტუდენტები

უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, რომელთა რაოდენობა შეესაბამება სტუდენტთა სწავლის პროცესის საჭიროებებს (ფაკულტეტის დეკანი, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის განმახორციელებელი დეპარტამენტი, ბიბლიოთეკა და ა.შ.). უნივერსიტეტმა შეიმუშავა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შერჩევის წესი, რომელიც განსაზღვრავს შერჩევის ძირითად პრინციპებს.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამაში უშუალოდ ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა არის 10.

თსუ-ს თანამედროვე ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია სადოქტორო პროგრამის ყველა სტუდენტისათვის. ბიბლიოთეკაში ბევრი საჭირო სახელმძღვანელო, ჟურნალი და სტატიაა ხელმისაწვდომი. ეს სასწავლო მასალა დაკავშირებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს ძირითად საკითხებთან და დიდი მნიშვნელობა აქვს პროგრამის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის. ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურა თანამედროვე, განახლებული და ხელმისაწვდომია როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული ფორმით. ცენტრალური ბიბლიოთეკა კარგადაა აღჭურვილი, აქვს საკმარისი სამუშაო ფართი სტუდენტთა ინდივიდუალური მუშაობისათვის და მოსახერხებელი სამუშაო საათები. ახალი ლიტერატურის შეძენა ხდება ყოველწლიურად დეპარტამენტების, მეცნიერებისა და სტუდენტების მოთხოვნების შესაბამისად. გარდა ამისა, 2019 წლისათვის ბიბლიოთეკას გამოწერილი აქვს დარგის 34 პერიოდული გამოცემა, რომლებიც ან საერთოდ არ მოიპოვება საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზებში, ან სრული ტექსტით განთავსებული სტატიები აქ დაგვიანებით ქვეყნდება.

სტუდენტებსა და პერსონალს გააჩნია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზებზე სრული ხელმისაწვდომობა.

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული იერარქიის სტრუქტურული და ფუნქციონალური ერთეული, რომელიც ახორციელებს ხარისხის პოლიტიკის ძირითად პრინციპებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული დებულება, რომლის ძირითადი პრინციპები და პირობები ემყარება "დაგეგმვა-გააკეთე-შეამოწმე-იმოქმედე" ციკლს, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და კრიტერიუმებს. ღიაა ყველა დაინტერესებული პირისათვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივად მუშაობს ინსტრუმენტების სრულყოფაზე და მათ მიერ განხორციელებული ანგარიშები, როგორც წესი, სტრუქტურირებულია ამ ციკლის მოდელზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტივობებში, უფრო მეტიც, მისი ყველა უნივერსიტეტის შიდა მექანიზმების დაგეგმვაში ჩართულია საუნივერსიტეტო წრეები, რომელთაც კავშირი აქვთ აკადემიურ და კვლევით პროცესებთან და/ან მათ რესურსებთან (ციკლის ფაზა P). პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მომსახურებებს სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, ახორციელებს პროგრამის პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას. თსუ-სა და მედიცინის ფაკულტეტს გააჩნია სრულად ოპერირებადი და კარგად ჩამოყალიბებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა (ფაკულტეტზე დაფუძნებული), რომელიც შეესაბამება ხარისხის ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს და უზრუნველყოფს სადოქტორო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების გაუმჯობესების შესაძლებლობებს.

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- რეკომენდაციების რეზიუმე

ექსპერტთა ჯგუფი გვთავაზობს, რომ სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია სავალდებულოდ შესასრულებელი რეკომენდაციების გარეშე.

▪ რჩევების რეზიუმე

ექსპერტთა ჯგუფი გვთავაზობს მიეცეს სადოქტორო პროგრამას საზოგადოებრივ ჯანდაცვაში აკრედიტაცია ფაკულტეტის მიერ სამომავლოდ ზოგიერთი რჩევის გათვალისწინებით:

- ✓ გაიზარდოს ფინანსური დახმარება თსსუ-ს მხრიდან სტუდენტებისა და პროფესორების კონფერენციებში მონაწილეობაზე და სტუდენტთა სტატიების პუბლიკაციებზე, სადაც გათვალისწინებულია ხარჯების გაწევა სტუდენტთა მხრიდან.
- ✓ მოდულების სილაბუსების განახლება, სტუდენტების გამოკითხვებიდან/შეფასებებიდან ინფორმაციის უფრო ხშირად დამატებით.
- ✓ სადოქტორო პროგრამის მარკეტინგის გაუმჯობესების მიზნით სოციალურ პარტნიორობთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები განსაზღვრავენ იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც ისახავს მიზნად პროგრამა კურსდამთავრებულებში. ისინი აგრეთვე ახდენენ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შესატანი წვლილის ილუსტრირებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზნები განსაზღვრავენ იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც ისახავს მიზნად პროგრამა კურსდამთავრებულებში. ისინი აგრეთვე ახდენენ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შესატანი წვლილის ილუსტრირებას. სადოქტორო "საზოგადოებრივი ჯანდაცვის" პროგრამის მიზნებია: • აკადემიური დოქტორის მომზადება, რომელსაც აქვს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს სისტემური აღქმა, ფუნდამენტური და სისტემური ცოდნა, შესაბამისი კვალიფიკაცია სამეცნიერო-კვლევით მეთოდების ფლობასთან მიმართებაში და კომპეტენცია სფეროში წარმატებული კვლევითი/აკადემიური საქმიანობის წარმართვისათვის. • საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს სხვადასხვა დონეზე / ეტაპზე

კონკურენტუნარიანი და ეფექტურად მომუშავე აკადემიური დოქტორების მომზადება, რომლებიც შეძლებენ პროფილაქტიკური და ჯანმრთელობის ხელშეწყობი პროგრამების, გარემოსდაცვითი მედიცინის პროგრამების, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის, პროფესიონალური მედიცინის, ჯანდაცვის ადმინისტრირების და მენეჯმენტის, უსაფრთხო კვების, დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების კონკურენტულად შემუშავებას, დაგეგმვასა და განხორციელებას, აგრეთვე სამედიცინო, მათ შორის სამკურნალო პროგრამების მართვას და ა.შ.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამის საჭიროება შეესაბამება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მისიას და ღირებულებებს, ეხმიანება ადამიანის სიცოცხლის ხარისხის დაცვას და გაუმჯობესებას, სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებსა და პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების პატივისცემას.

აკადემიური პერსონალის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში მომზადებისას გათვალისწინებულ იქნა მოქმედი კანონმდებლობა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მოთხოვნები. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ფოკუსირებულია შრომის ბაზარზე, ითვალისწინებს კურსდამთავრებულთა, ისევე, როგორც პოტენციური დამსაქმებლების ინტერესებს, საქართველოს კანონს საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ და ასევე, კვლევით დადგენილ დარგის სპეციფიკურ პროფესიულ სტანდარტებს.

თსსუ-ს მისიაა: დიპლომამდელ და დიპლომის შემდგომ სამედიცინო განათლებაში სწავლების, კვლევის და პროფესიული მომზადების გზით ახალი ცოდნის შექმნა და გავრცელება; მონაწილეობა მოსახლეობის სიცოცხლის ხარისხის ამაღლების, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარებასა და განხორციელებაში; კურსდამთავრებულების აღჭურვა ეროვნულ და საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებაში ჰარმონიული ინტეგრაციისათვის აუცილებელი ცოდნითა და უნარებით.

სადოქტორო პროგრამა სრულად შეესაბამება ამ განაცხადს. თსსუ-ს ახალი სტრატეგიული გეგმა, რომელიც გამომდინარეობს უნივერსიტეტის განცხადებული მისიიდან და შემუშავებულია უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო თანამშრომლობით, წარმოადგენს ჩარჩოს უნივერსიტეტის ძირითადი მიზნის მისაღწევად.

სადოქტორო პროგრამის მიზნები ამასთან შესაბამისობაშია, ასევე, შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ და გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ისევე, როგორც პროგრამის კურსდამთავრებულები და სტუდენტები, აქტიურად არიან ჩართულნი საერთაშორისო ურთიერთობებში; კერძოდ, ისინი მონაწილეობენ საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში, კონფერენციებში; ისინი აქვეყნებენ სტატიებს საერთაშორისო იმპაქტ-ფაქტორის მქონე დარგის კვარტალურ გამოცემებში, რაც ეხმარება პროგრამაში ჩართული პერსონალის კვლევითი აქტივობის ინტერნაციონალიზაციას.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ვილნიუსის უნივერსიტეტის და ჩინეთის ვუჰენის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლებთან. ეს ხელშეკრულებები, როლებიც ითვალისწინებს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მოკლე-ვადიან გაცვლით პროგრამებს, ერთობლივი პუბლიკაციების მომზადებას და სამომავლოდ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა საზოგადოებრივი ჯანდაცვა;

• თსსუ-ს მისია, ხედვა და ღირებულებები http://new.tsmu.edu/content/2/42/0/0/0/0; • თსსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა http://new.tsmu.edu/content/2/49/0/0/0/0 • ამონარიდი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 16 მაისის სხდომის ოქმიდან N24/11, პროგრამის დამტკიცების შესახებ. • თსსუ-ს ვებ-საიტი - www.tsmu.edu; • ინტერვიუები თვითშეფასების გუნდთან; პროგრამის ხელმძღვანელებთან; აკადემიურ პერსონალთან; დოქტორანტის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2.პროგრამის სწავლის შედეგები
➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამის ათვისება აძლევს დოქტორანტებს ცოდნასა და უნარებს, რომლებიც საჭიროა კვლევის დამოუკიდებლად განსახორციელებლად და მიღებული კომპეტენციის მიხედვით დასასაქმებლად. ამის საფუძველია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების შეესაბამისობა პროგრამის მიზნებთან და მოიცავს მისი შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებსა და/ან პასუხისმგებლობას, ასევე ავტონომიურობას. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები მეტწილად ითვალისწინებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულების კომპეტენციები ითვალისწინებს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების დესკრიპტორის მიერ

გათვალისწინებულ კრიტერიუმებს.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამის წარმატებული დამთავრების სედეგად მიღწეული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 ციკლით განსაზღვრულ კრიტერიუმებს და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის კვალიფიკაციას.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის შერჩეული დარგის/სპეციალობის შესაბამისად, სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ აკადემიურ დოქტორს აქვს:

- ცოდნა და გაცნობიერება

საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მონათესავე დარგების უახლეს ცოდნაზე დაფუძნებული ცოდნა, რომელიც იძლევა არსებული ცოდნის გაფართოების შესაძლებლობას, ხოლო ინოვაციური მეთოდები იძლევა დარგის ახალი ცოდნის გენერირების საფუძველს; საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სწავლებისა და კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მეთოდების სიღრმისეული და სისტემური ცოდნა, მათ შორის ინტერდისციპლინურ ფორმატში.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და დაკავშირებული სამეცნიერო-პრაქტიკული ინფორმაციის სრული, მულტიდისციპლინარული, კომპლექსური და კრიტიკული შეფასების კომპეტენცია.

- უნარები

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული აკადემიური კომპონენტების ათვისება და სამეცნიერო კვლევის განხორციელება მისცემს კურსდამთავრებულს ცოდნასა და უნარებს, რომლებიც აუცილებელია პრობლემების დამოუკიდებლად მოგვარებისა და წარმატებული დასაქმებისათვის მიღებული კომპეტენციის ფარგლებში.

სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს ფართო/ვიწრო/დეტალური დარგის ფარგლებში შეეძლება:

- ორიგინალური კვლევის და ახალი ცოდნის გენერირებასა და გადაცემაზე ორიენტირებული ანალიტიკური მიდგომების შემუშავება, განხორციელება, მართვა და დანერგვა.
- დარგის ინოვაციური, ორიგინალური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და მართვა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების სრული დაცვით;
- ეპიდემიოლოგიური, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, პრევენციული, გარემოზე ნეგატიური ეფექტების თავიდან აცილების და ადამიანის ჯანმრთელობაზე, დაავადებათა პრევენციასა და სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ფოკუსირებული და/ან დარგის აკადემიური, პროფესიული, კვლევითი აქტივობების/პროგრამების შემუშავება, განხორციელება და მართვა, რომელთა მიზანია, ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება და განხორციელება კომპლექსური პრობლემების მოსაგვარებლად.
- დამოუკიდებლად ან თანამონაწილეობით განხორციელებული სამეცნიერო კვლევის შედეგების აღწერა, სისტემატიზება, ანალიზი და ფურმულირება საერთაშორისო მიმოქცევაში მითითებული სამეცნიერო ინფორმაციის სტანდარტების შესაბამისად, ასევე, სამეცნიერო კვლევის შედეგების პრეზენტაცია და დისკუსია პროფესიონალ და არაპროფესიონალ საზოგადოებასთან, ადგილობრივ ან საერთაშორისო შეხვედრებზე.

- პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- ახალი პროფესიული ღირებულებების დამოუკიდებლად მიება/გამოკვლევა და მათი დანერგვის ახალი მეთოდების შემუშავება.
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში კვლევის ეთიკური პრინციპების აღწერა/განმარტება, ამ პრინციპების გამოყენება და შეფასება ინოვაციურ, დამოუკიდებელ და სპეციფიკურ სამეცნიერო პროექტებში;

- საკუთარი და კოლეგების პროფესიონალიზმის დაცვა და შეფასება, ჯგუფური მუშაობის უნარები, ურთიერთობები ხალხთა შორის, პროფესიული კეთილსინდისიერება, ადამიანის უფლებები და თავისუფლების ფასეულობები. სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლება, სხვების სწავლების დაგეგმვა და მართვა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია; ისინი შესაბამისობაშია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროს სპეციფიკასთან, პოტენციური დამსაქმებლების მოთხოვნებთან, კურსდამთავრებულთა პროფესიული დასაქმების სფეროს მოთხოვნებთან; ისინი ითვალისწინებენ კვლევით დადგენილ პროფესიული სფეროს სპეციფიკურ სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფილია ყველა დაინტერესებული მხარის - აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დოქტორანტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების ჩართულობას პროგრამის შემუშავებაში და სწავლის შედეგების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობით. სადოქტორო პროგრამა "საზოგადოებრივი ჯანდაცვის" სწავლის შედეგები განისაზღვრება პროგრამის აკადემიური კურსების სილაბისებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების ერთობლიობით, შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, ასახულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკასა და კურიკულუმის რუკაზე.	მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო პროგრამა "საზოგადოებრივი ჯანდაცვა"; • საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მოდიფიცირების და გაუქმების წესი; • საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი, სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 26 თებერვლის დადგენილება N24/4. • პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში დაინტერესებულ პირთა მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი - თვითშეფასების გუნდის ოქმები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის კურიკულუმი და საბჭოს სხდომის ამონარიდი. • თსსუ-ს ვებ-საიტი - www.tsmu.edu; • ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან; აკადემიურ პერსონალთან; მოწვეულ პერსონალთან; დამსაქმებლებთან; კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: არ არის	რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება	მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	

- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს მიზნებისა და დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას განსაზღვრული აქვს შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები. საქართველოს მოქალაქეები და უცხოელები დაიშვებიან სადოქტორო პროგრამაზე. დაშვების წესები განსაზღვრულია საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ კონკრეტულ სადოქტორო კვლევით პროგრამაზე. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს საქართველოს მოქალაქეებისათვის წარმოადგენს - მაგისტრის ხარისხი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში ან ექვივალენტური აკადემიური ხარისხი (მონათესავე დარგებში - მედიცინა, სტომატოლოგია, ფარმაცია, ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია დასხვ.) და სადოქტორო პროგრამაზე დაშვებაში კონკურსში გამარჯვება. ეს კონკურსი მოიცავს: ა) წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას; ბ) გამოცდის ჩაბარებას (ტესტი-ინტერვიუ) ძირითად სპეციალობაში და ინგლისურ ენაში ((B2 დონე).

საგამოცდო კომისიის შემადგენლობა მტკიცდება თსსუ-ს რექტორის მიერ შესაბამის დეპარტამენტთან შეთანხმებითა და პრო-რექტორის წარდგინებით. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველთა დოკუმენტები წარედგინება საკონკურსო კომისიას კონკურსის

გამოცხადებიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში; გამოცდების საფუძველზე ჩარიცხული კანდიდატი განიხილება დოქტორანტად.

თსსუ უზრუნველყოფს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვის ინფორმაციაზე სრულ ხელმისაწვდომობას უნივერსიტეტის ვებ-საიტის, ოფიციალური სოციალური ქსელის მეშვეობით, სამეცნიერო მუშაობის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დეპარტამენტების კოორდინატორების, პროგრამის ხელმძღვანელების აქტიური ჩართულობით, მათ შორის კონსულტაციების ფორმატში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა "საზოგადოებრივი ჯანდაცვა";
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დოქტორანტურის დამტკიცების შესახებ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის N24/5 დადგენილება;
- თსსუ-ს ვებ-საიტი - www.tsmu.edu;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ს განათლების პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამა შედგენილია თსუ-ში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. იგი ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობის ნორატიულ ბაზას და ECTS სისტემას. იგი წარმოდგენილია "საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მოდიფიცირების და გაუქმების წესით". ამ წესის თანახმად -

- აკადემიური პროგრამა ინიცირებულია ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ, მისი საფუძველი შეიძლება იყოს შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებელთა მოთხოვნები, უნივერსიტეტის კვლევის პრიორიტეტები, თანამშრომლობა უცხოურ და ადგილობრივ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კვლევით ცენტრებთან.
- ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, დამსაქმებლები, სტუდენტები, ადმინისტრაცია, კურსდამთავრებულები და პროფესიული ორგანიზაციები ასევე მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში. მათი ერთობლივი გადაწყვეტილების შემდეგ, შეირჩევა ზოგადი და დარგის სპეციფიკური კომპეტენციების მიღწევის გზები.
- პროგრამის შემუშავებისას სახელმძღვანელო დოკუმენტებია - უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სათანადო ციკლის სტანდარტები, სექტორული სტანდარტები, უნივერსიტეტის მენეჯმენტის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპები, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული სხვა ნორმატიული დოკუმენტები.

პროგრამის შემუშავებისა და დაგეგმვის პროცესი მოიცავს:

- პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა თანაფარდობას აკადემიური, მოწვეული და დამხმარე პერსონალის რაოდენობასთან, რაც შეესაბამება უნივერსიტეტის წესდებას, უზრუნველყოფს პროგრამის კომპონენტების ხარისხს და სტუდენტების სხვადასხვა დამხმარე მომსახურებებს;
- ინფრასტრუქტურას, ტექნიკურ აღჭურვილობას, სასწავლო რესურსებს, პროგრამის განხორციელისათვის საჭირო ფინანსურ დახმარებას.

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია პროგრამის შემუშავებაზე, განვითარებასა და მისი ყველა კომპონენტის ეფექტიან განხორციელებაზე.

საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ფაკულტეტზე. ფაკულტეტი, ასევე, ახორციელებს ცვლილებებს და ანვითარებს პროგრამას, კოორდინაციას უწევს მას და უზრუნველყოფს კურიკულუმის განვითარების საჯაროობასა და გამჭვირვალობას. საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი შესაფასებლად წარედგინება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; ამ სამსახურის მიერ დადგენილ კრიტერიუმების შესაბამისობისა და დადებითი შეფასების შემთხვევაში, პროგრამა ეგზავნება განსახილველად კურიკულუმის კომიტეტს.

კურიკულუმის კომიტეტი, რომელიც წარმოდგენილია პროგრამის აკადემიური პერსონალითა და დამსაქმებლებით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ერთად, განიხილავს ფაკულტეტის სასწავლო ერთეულების

მიერ მომზადებულ პროგრამებს, აფასებს მათ და ამზადებს დასკვნას შესაბამისი რეკომენდაციებით. კურიკულუმის კომიტეტი წარუდგენს წინადადებას პროგრამაში ცვლილებების შეტანაზე, მის დამტკიცებაზე ან გაუქმებაზე ფაკულტეტის საბჭოს.

ფაკულტეტის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ან მისი შესწორებების აკადემიურ საბჭოში დასამტკიცებლად წარდგენის შესახებ, თუ:

- პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და პრიორიტეტებს;
- პროგრამა ითვალისწინებს შესაბამის დარგში / სფეროში არსებულ სიახლეებს;
- პროგრამა უზრუნველყოფს დადგენილი მიზნებისა და შედეგების მიღწევას;
- უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საქართველოს და საერთაშორისო განათლებისა და შრომის ბაზარზე;
- არსებობს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსები.

აკადემიური საბჭოს პოზიტიური გადაწყვეტილების შემთხვევაში, პროგრამა იგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შესაბამისი პროცედურების მეშვეობით.

პროგრამის ამოქმედების შემდეგ, მასში ცვლილებები შედის სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. ცვლილებები შეიძლება ინიცირებული იყოს ნებისმიერი დაინტერესებული მხარის მიერ, ხოლო მოდიფიკაციის საფუძველი შესაძლოა გახდეს შემდეგი:

- სისტემური შეფასებების შედეგად გამოვლენილი დასკვნა;
- პროგრამის შიდა ხარისხის მექანიზმების გათვალისწინება;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისა და პროგრამის დასრულების მაჩვენებლის მონიტორინგის შედეგები;
- პროგრამის გარე შეფასება;
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პოტენციურ დამსაქმებელთა, პროფესიულ ასოციაციათა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მონაცემები კმაყოფილების გამოკითხვებიდან, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის მონაცემები და ა.შ;
- პროგრამის თაობაზე აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციები;

პროგრამის ისეთ მოდიფიცირებას, რომელიც არ ცვლის პროგრამის არსს, დაშვების წინაპირობებს და სწავლის შედეგებს - ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტის კურიკულუმის კომიტეტი; თავდაპირველად მათზე მსჯელობენ ფაკულტეტზე, შემდეგ აკადემიურ საბჭოზე და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება მათი ასახვა კურიკულუმში.

თსსუ-ს პროგრამების დაგეგმვის/ შემუშავების/ მოდიფიცირების პროცესების განხორციელებაში პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობა უზრუნველყოფილია მათი წარმომადგენლობით კურიკულუმის კომიტეტში და ურთიერთობებით პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციების, ერთობლივი ფორუმების, პროექტებისა და სხვა ტიპის აქტივობების მეშვეობით, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებას სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების პროცესში.

პროცესში სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ჩართულობა უზრუნველყოფილია ფაკულტეტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მონიტორინგით, დეპარტამენტებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვებით და ამ

შედეგების ანალიზით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება უმაღლესი განათლების მესამე ციკლს, ხოლო პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. პროგრამის მოცულობა 180 ECTS კრედიტია. იგი მოიცავს აკადემიურ (45 კრედიტი) და კვლევით (135 კრედიტი) კომპონენტებს. 1 კრედიტი გულისხმობს 30 საათს; მისი დანაწილება საკონტაქტო და დამოუკიდებელ სამუშაო საათებად სხვადასხვა სასწავლო კურსში, ითვალისწინებს კურსების სპეციფიკას, განსხვავებულია და ასახულია სილაბუსში.

სადოქტორო პროგრამა "საზოგადოებრივი ჯანდაცვა" სტრუქტურირებულია ფუნქციურად ინტეგრირებული საგანმანათლებლო აკადემიურ დონეზე. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი ნაწილებისაგან შემდგარი გამაერთიანებელი ელემენტია, რომლებსაც აერთიანებს და განსაზღვრავს კვლევის სფერო.

დოქტორანტს უშუალოდ ხელმძღვანელობს კვლევის ხელმძღვანელი, რომელიც დოქტორანტთან ერთად ადგენს დოქტორანტის ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის კრედიტების განაწილებასა და დოქტორანტის დატვირთვის, რომლის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება თსსუ – ს სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების სამსახურის მეთვალყურეობის ქვეშ.

აკადემიური კომპონენტის კურსები ეფუძნება თანამედროვე სამეცნიერო ცოდნას, რაც გულისხმობს სწავლების პროცესში ამ უკანასკნელის სრულ და ადეკვატურ ჩართულობას, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ცოდნასა და მეთოდოლოგიას.

აკადემიური კომპონენტი (45 კრედიტი) მოიცავს:

1. ძირითად დისციპლინას (15 კრედიტი), რომელიც განისაზღვრება სადოქტორო კვლევის დარგითა და შინაარსით (მიზანი, მეთოდოლოგია, სავარაუდო შედეგები და მათი გამოყენება და სხვ.). ამ კურსის სწავლება/სწავლის მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება სადოქტორო კვლევის ხელმძღვანელის მიერ და აისახება შესაბამის სილაბუსში.
2. დოქტორანტურის აკადემიური კურსების (ძირითადი და არჩევითი, 30 კრედიტი) შესწავლის მიზანია ზოგადი სამეცნიერო და აკადემიური კომპეტენციების განვითარება; დოქტორანტს საშუალება აქვს აირჩიოს 2 არჩევითი კურსი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის თავისუფალი კომპონენტების არჩევითობას.

აკადემიური კურსების ნუსხა ასახულია დოქტორანტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში. დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი პროგრამა წარმოადგენს დოქტორანტის აკადემიური და კვლევითი გეგმების ერთიანობას.

სადოქტორო პროგრამის 135 კრედიტი გამოყოფილია კვლევითი კომპონენტის - სამეცნიერო კვლევისათვის. მის თეორიულ და ექსპერიმენტულ შედეგებს აქვს არსებითი მნიშვნელობა საზოგადოებრივი ჯანდაცვის მეცნიერებისათვის.

სადოქტორო პროგრამების კვლევითი კომპონენტი მოიცავს ინდივიდუალურ სადოქტორო კვლევით პროგრამას, პროგრამის განხორციელების გეგმას, სავალდებულო სამეცნიერო აქტივობებს (სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობას, სამეცნიერო ნაშრომების პუბლიკაციას, მოხსენებებს და სხვ.) პროგრამის დასრულებისათვის, სადისერტაციო ნაშრომის შესრულებასა და დისერტაციის დაცვას. კვლევითი პროგრამა

ინდივიდუალურია და ხორციელდება ერთი დოქტორანტის მიერ (ძირითადი მკვლევარი) კვლევის ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ.

დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი ხორციელდება დოქტორანტურის 3 წლის განმავლობაში.

კვლევითი კომპონენტის შეფასების ფორმას წარმოადგენს დოქტორანტის ყოველწლიური ატესტაცია (ანგარიში) საბაზო დეპარტამენტის(ების) წინაშე.

დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის შედეგს წარმოადგენს სამეცნიერო დისერტაცია, რომელიც მოიცავს სამეცნიერო სიახლეს.

დოქტორანტურა სრულდება დისერტაციის საჯარო დაცვით. საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის კვალიფიკაცია მიენიჭება დოქტორანტს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის N69/ნ ბრძანების "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესახებ" თანახმად.

თსსუ უზრუნველყოფს პროგრამის თაობაზე ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას, კერძოდ იგი განთავსებულია ვებ-საიტზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა "საზოგადოებრივი ჯანდაცვა";
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მოდიფიცირების და გაუქმების წესი;
- თსსუ-ს ვებ-საიტი - www.tsmu.edu;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან; აკადემიურ პერსონალთან; მოწვეულ პერსონალთან;

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თითოეული სავალდებულო სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სექტორული ცოდნის უზრუნველყოფის მიზნით პროგრამა მოიცავს პროფილური დისციპლინების აკადემიურ კურსებს. საგანმანათლებლო პროგრამა ემყარება იმ მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლას, რომლებიც საჭიროა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სხვადასხვა სფეროში (შერჩეული სფეროს შესაბამისად) პროფესიული აქტივობების განსახორციელებლად თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით.

სავალდებულო კურსების ნუსხა მოიცავს: სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგია ბიოსტატისტიკასთან ერთად (7 კრედიტი), უმაღლესი განათლების პედაგოგიკა და ფსიქოლოგია (5 კრედიტი), ბიოსამედიცინო მეცნიერების ეთიკა (4 კრედიტი), უცხო ენა - პროფესიული ინგლისურის კურსი (10 კრედიტი) და არჩევითი კურსები (თითოეული 2 კრედიტიანი).

არჩევითი აკადემიური კურსებია - კვლევის სპეციფიკით განსაზღვრული მონათესავე სპეციალობა, სამეცნიერო პროექტის შედგენის მეთოდოლოგია, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრაქტიკაში, აკადემიური წერა ინგლისურად, გერმანული ენა (წინაპირობა დაშვებისათვის არის B2 დონე), ფრანგული ენა (წინაპირობა დაშვებისათვის არის B2 დონე), რუსული ენა (წინაპირობა დაშვებისათვის არის B2 დონე).

სილაბუსის განახლებულ სტრუქტურაში გათვალისწინებულია დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები. კერძოდ, საუნივერსიტეტო კურსების მოცულობა გაიზარდა. ზოგიერთი დისციპლინის შინაარსი შეიცვალა. საგანმანათლებლო გეგმები გაუმჯობესდა და ხელახლა იქნა შედგენილი.

სწავლის შედეგების ერთიანობა, აღწერილია პროგრამის აკადემიური კურსების სილაბუსებში, და განსაზღვრავს პროგრამის შედეგებსა და შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის დესკრიპტორის/აღმწერის მიერ დადგენილ სტანდარტს.

აკადემიური კურსის თითოეული სილაბუსი განსაზღვრავს დოქტორანტის შეფასების კომპონენტებსა და კრიტერიუმებს (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა), რომლებიც გაწერილია დეტალურად. აკადემიური კურსების სილაბუსები მოიცავს სავალდებულო და დამხმარე სასწავლო მასალას, რაცაა სახელმძღვანელოები, მეთოდოლოგიური რეკომენდაციები, სხვადასხვა ბრძანებები, ნორმატიული აქტები, სამეცნიერო კვარტალურ გამოცემებს და სხვ. სასწავლო მასალის

სამიზნე ნიშნულია - საკმარისობა, თანმიმდევრულობა და ხელმისაწვდომობა.საჭირო ლიტერატურა ხელმისაწვდომია თსსუ-ს ბიბლიოთეკაში და შესაბამის დეპარტამენტში, იგი შეიძლება მოძიებულ იქნეს ინტერნეტში პროფესიულ ვებ-გვერდებზე.თსსუ-ს საბიბლიოთეკო ფონდს გააჩნია საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორანტისათვის საჭირო ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოები; თსსუ-ს ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკების ქსელში, რომელიც მნიშვნელოვნად ეხმარება დოქტორანტებს კვლევითი ნაშრომისათვის საჭირო ინფორმაციის იოლად მოძიებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო პროგრამა "საზოგადოებრივი ჯანდაცვა"; • ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან; სტუდენტებთან; აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; • ტური ბიბლიოთეკაში
რეკომენდაციები: არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამა "საზოგადოებრივი ჯანდაცვა", სწავლის შედეგების თანახმად, უზრუნველყოფს დოქტორანტების პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებასა და გაძლიერებას.

პროგრამის საშუალებით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი გააცნობიერებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნის საჭიროებას, არსებული ცოდნის კრიტიკულად გააზრების გზით, რაც მიიღება ინოვაციური მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. მას შეეძლება დარგის ინოვაციური, ორიგინალური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და მართვა, აკადემიური კეთილსინდისიერების სრული დაცვით; საზოგადოებრივ ჯანდაცვაში და მის ქვედისციპლინებში სამეცნიერო-პრაქტიკული ინფორმაციის სრულად, მულტიდისციპლინურად, კომპლექსურად და კრიტიკულად შეფასება.

ეპიდემიოლოგიური, სოციალურ-ჯანდაცვითი, პროფილაქტიკური და გარემოსა და პროფესიული ფაქტორების მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებასა ან / და შემცირებაზე ორიენტირებული ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის, დაავადებების პრევენციისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორს შეეძლება შეიმუშაოს, განახორციელოს და მართოს დარგის აკადემიური, პროფესიული, კვლევითი საქმიანობა / პროგრამები ეფექტური და კომპლექსური პრობლემების გადაჭრის, გადაწყვეტილების მიღების მეთოდების გამოყენების გზით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორს შეეძლება დაადგინოს, გააანალიზოს და ჩამოაყალიბოს საკუთარი ან მისი თანამონაწილეობით განხორციელებული სამეცნიერო კვლევის შედეგები საერთაშორისო სამეცნიერო ინფორმაციის სტანდარტების შესაბამისად, ასევე წარმოადგინოს და დაასაბუთოს სამეცნიერო კვლევის შედეგები ეროვნულ და საერთაშორისო შეხვედრებზე პროფესიულ და არაპროფესიულ საზოგადოებესთან, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციების და ფორუმების ორგანიზებით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორანტები რეგულარულად მონაწილეობენ კონფერენციებში, ფორუმებსა და საგრანტო პროექტებში, აქვეყნებენ პუბლიკაციებს, მათ შორის, იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში, აგრეთვე მონაწილეობენ სხვადასხვა სტუდენტურ ღონისძიებებში, გამოფენებში, საქველმოქმედო ღონისძიებებში და ა.შ. პროგრამის განხორციელებისას, დოქტორანტების თანაავტორობით გამოქვეყნებულია 41 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 18 ქართულ ჟურნალებში, 23 - საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში. დოქტორანტმა, ასევე, მონაწილეობა მიიღეს 9 ადგილობრივ და 22 საერთაშორისო პროექტში და 13 პპროექტში (USAID ტუბერკულოზის პრევენციის პროექტი, საქართველოში, World Vision International in Georgia, არასამთავრობო ორგანიზაცია "რეალური ხალხი, რეალური ხედვა", რომელიც ეხმარება აივ-ით ინფიცირებულებს და ა.შ.).

სადოქტორო პროგრამის წარმატებით განხორციელების მიზნით ფაკულტეტი აქტიურად თანამშრომლობს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრთან, სსიპ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან, სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან და შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის ინსტიტუტთან, ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის სამედიცინო, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული საკითხების ცენტრ "ურანტთან".

აღნიშნულ დაწესებულებებში დოქტორანტები ასრულებენ კვლევის კომპონენტის ფრაგმენტებს, აძლიერებენ პროფესიულ უნარებს გამოცდილი პროფესორებისა და პრაქტიკული მუშაკების მეთვალყურეობის ქვეშ, მონაწილეობენ კვლევით პროექტებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობის სტატისტიკური მონაცემები;
- სტუდენტების თანაავტორობით გამოქვეყნებული ნაშრომები;
- მონაწილეობა სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში, საგრანტო პროექტებში;
- შესაბამისი მემორანდუმები პროფილურ დაწესებულებებთან;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან.

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამა "საზოგადოებრივი ჯანდაცვა" წარმოადგენს დეცენტრალიზებულ სადოქტორო პროგრამას, დამყარებულს კვლევის მეთოდებსა და სტატისტიკურ ანალიზზე. მისი კვლევითი ნაწილი, სასწავლო კურსები ემყარება თანამედროვე სამეცნიერო ცოდნას. ეს გულისხმობს საზოგადოებრივ ჯანდაცვაში დაგროვილი და უახლესი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნისა და მეთოდოლოგიის სწავლის პროცესში სრულ და ადეკვატურ ჩართულობას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლა ემყარება სტუდენტზე ორიენტირებულ მეთოდებს. კვლევითი მუშაობა გულისხმობს დოქტორანტების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, მათ შორის პრაქტიკულ აქტივობებს, ჯგუფურ მუშაობას, სიტუაციურ ანალიზს, დისკუსიებს, ქეისების ანალიზს, დისერტაციის მომზადებასა და პრეზენტაციას,

ემპირიულ სწავლას, სემინარებსა და პროექტებს. აკადემიური აქტივობის მეთოდები ცალ-ცალკე და მათი ერთობლიობით უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას. პროგრამის კომპონენტების შინაარსი, მოცულობა და სწავლების მეთოდები უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევას, რაც შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონეს/აკადემიური განათლების მე-3 დონის შედეგებს. სწავლის შედეგები სტრუქტურირებულია კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ ჩარჩოებში. სწავლების მეთოდები შეესაბამება თანამედროვე მეთოდოლოგიას, მათ შორის სპეციფიკურ მოთხოვნებს დოქტორანტის მოსამზადებლად. სადოქტორო პროგრამა სტრუქტურირებულია ევროპული ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის შესაბამისად. დოქტორანტი ახორციელებს პროგრამის კვლევით კომპონენტს მინიმუმ სამი წლის განმავლობაში პროგრამის ხელმძღვანელის უშუალო ზედამხედველობით. დოქტორანტი მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში, სადაც ხდება მისი კვლევის შედეგების პრეზენტაცია, ნაშრომების პუბლიკაცია. კვლევითი კომპონენტი მოიცავს სამეცნიერო დისერტაციის განხორციელებას და სრულდება დისერტაციის დაცვით. დოქტორანტის დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს კურიკულუმით გათვალისწინებული დახარჯული დროის და შრომის (სამუშაო დროის) წარმატებით დასრულებას, რაც გამოიყენება სწავლისთვის, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის ასათვისებლად, კვლევის სფეროში ახალი სამეცნიერო ნაშრომების მოძიება, გაცნობა, დამუშავება, ცოდნის გაძლიერება კვლევის სფეროში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი • ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან.
რეკომენდაციები: არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.6.სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით.იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტის მიღწევების შეფასება ხდება შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების თანახმად. საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების გამოთვლა და დოქტორანტების მოსწრების შეფასება გამჭვირვალეა და წარმოებს თსსუ-ში მოქმედი ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემისა თსსუ-ში და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამის კრედიტების გამოანგარიშება და დოქტორანტების მოსწრების შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით.

სადოქტორო პროგრამის **აკადემიური კომპონენტის** შეფასების მეთოდების ეფექტიანობის ანალიზი განხორციელდება ყველა დოქტორანტისათვის უნივერსიტეტში არსებული წესების შესაბამისად და გულისხმობს შუალედური გამოცდისა და ამ უკანასკნელის საბოლოო აკადემიური შედეგების რაოდენობრივ და შინაარსობრივ შეფასებას.

აკადემიური კომპონენტის თითოეული აკადემიური კურსის შესწავლისას დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს შეჯამება ითვალისწინებს ორ კომპონენტს - შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასებებს. თითოეულ ელემენტს აქვს თავისი პროცენტული წილი შეფასების მთლიან სისტემაში:

- შუალედური შეფასება იყოფა კომპონენტებად (აკადემიური აქტივობა, პრაქტიკული უნარები, მუშაობა ჯგუფებში, შუალედური გამოცდა და ა.შ.), რომელთაც აქვთ თავიანთი პროცენტული წილი ამ ელემენტში. გარკვეული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია დაზუსტდეს შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტები. კომპონენტის შინაარსს და ფარდობით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის ხელმძღვანელი. შუალედურ შეფასებაში დოქტორანტს შეუძლია დააგროვოს მაქსიმუმ 60 ქულა.
- საბოლოო გამოცდა სავალდებულოა, შეფასების სისტემაში მისი ფარდობითი წილი არის მაქსიმუმ 40 ქულა. საბოლოო გამოცდაში დოქტორანტმა უნდა მიიღოს არანაკლებ 20 ქულისა.
- საბოლოო გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომელიც დააგროვებს 51 ქულას შუალედური შეფასებისა და საბოლოო გამოცდის მაქსიმალური ქულების გათვალისწინებით (40).
- შემაჯამებელი შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებისა და საბოლოო გამოცდის შეფასების ჯამს;

შეფასების კომპონენტები და მათი ფარდობითი წილი ასახულია თითოეული კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ეცნობება დოქტორანტებს სასწავლო კურსის დაწყებისთანავე. დოქტორანტის ცოდნის შეფასების პრინციპები და კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია აკადემიურ პროცესში ჩართული ყველა პირისათვის. ისინი აკმაყოფილებენ სტუდენტის მიერ არა მხოლოდ თეორიული ცოდნის დაუფლების ხარისხის ობიექტური შეფასების ინტერესს, არამედ, ასევე, პრაქტიკულ უნარებს. ცოდნისა და უნარების შეფასებაში გამოიყენება

ვერბალური, ისევე, როგორც წერიტი გამოცდები, პრეზენტაციები, სტატიები/დისერტაციები.

შეფასება ობიექტური და განმავითარებელია, რაც განპირობებულია გამჭვირვალობით, საჯაროობითა და მრავალფეროვნებით. სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების ფორმას წარმოადგენს დოქტორანტის ყოველწლიური ატესტაცია (ანგარიში) საბაზო დეპარტამენტების წინაშე. დოქტორანტის ყოველწლიური ატესტაციის ფორმატია - საანგარიში პერიოდში გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიში საბაზო დეპარტამენტის წინაშე.

ატესტაციის კრიტერიუმებზე დოქტორანტის ინფორმირება ხდება სასწავლო პროცესის დასაწყისში. კრიტერიუმები შემდეგია:

- შესრულებული აკადემიური კომპონენტის/კრედიტების შესაბამისობა დოქტორანტის გეგმასთან;
- რუკით გათვალისწინებული სასწავლო კურსი / კურსები;
- წარმატებით ათვისებული სასწავლო კურსი / კურსები;
- დასრულებული სამეცნიერო აქტივობის შესაბამისობა დოქტორანტის გეგმასთან;
- დაგეგმილი კვლევითი აქტივობა,
- ჩატარებული კვლევები / დაკვირვებები,
- სამეცნიერო პუბლიკაცია/ები.
- დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმის/თემის შეფასება ხელმძღვანელის მიერ.

საბაზო დეპარტამენტის სხდომაზე დოქტორანტურის სტუდენტის მუშაობის ანგარიშის დადგენილი კრიტერიუმების თანახმად, დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაო ფასდება როგორც "საკმარისი" / "არასაკმარისი" / "არაადეკვატური" / სრულიად არასაკმარისი".

- დოქტორანტის სამუშაოს "საკმარისი" შეფასების მიღების შემთხვევაში, მას ეძლევა რეკომენდაცია მუშაობის გაგრძელებაზე გეგმის-რუკის შესაბამისად.
- დოქტორანტის სამუშაოს "არასაკმარისი" შეფასების მიღების შემთხვევაში, მას ეძლევა რეკომენდაცია:
 - o გეგმა-რუკაში ან ინდივიდუალურ სადოქტორო კვლევის გეგმაში ცვლილებების შეტანაზე, ან
 - o დოქტორანტის სტატუსის შეჩერებაზე, თუ სტატუსის აღდგენის შემდეგ სადოქტორო პროგრამის დასრულებამდე დარჩენილ დროში შესაძლებელია ინდივიდუალური სადოქტორო კვლევის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება.
 - o დოქტორანტის სამუშაოში "სრულიად არასაკმარისი" შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტის მიერ სამუშაოს არახელსაყრელი გარემოებების შესახებ კომპლექსური ანალიზის შემდეგ, ასევე დოქტორანტისა და მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის ახსნა-განმარტების გათვალისწინებით, დოქტორანტს ეძლევა რეკომენდაცია სტუდენტის სტატუსის შეჩერების / შეწყვეტის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ კვლევა არაა დაწყებული ინდივიდუალური სადოქტორო კვლევის

გეგმის თანახმად დოქტორანტის სტატუსის მქონე/სტატუს შეწყვეტილი დოქტორანტის მიერ და ეს დასტურდება წერილობით ყოფილი დოქტორანტის, მისი ხელმძღვანელის და საბაზო დეპარტამენტის მიერ, ინდივიდუალური სადოქტორო კვლევის დასრულებაზე კიდევ ერთხელ ცხადდება კონკურსი.

საბაზო დეპარტამენტის (ეზის) სხდომის ოქმი, რომელიც აღწერს დოქტორანტის ყოველწლიური ატესტაციის შედეგებს, მიეწოდება თსსუ-ს სამეცნიერო მუშაობის, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სამსახურს.

დოქტორანტის კვლევითი მუშაობა სრულდება დისერტაციის დაცვით. სადისერტაციო საბჭოსათვის დისერტაციის წარდგენის წინაპირობას წარმოადგენს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული (სასწავლო კომპონენტი) კურსების განხორციელება და სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი განხილვა იმ დეპარტამენტში, რომელშიც ჩატარდა სადოქტორო კვლევა.

სადისერტაციო ნაშრიმ უნდა იქნეს წარდგენილი და მხარდაჭერილი პროფესიული/დარგობრივი ასოციაციების მიერ. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია უნდა იყოს სრულყოფილი სამეცნიერო კვლევა, რომელშიც არსებული სამეცნიერო პრობლემა (პრობლემები) არის გადაჭრილი და მიღებულია შესაბამის სფეროში თეორიული, ექსპერიმენტული და/ან კლინიკური შედეგები.

დისერტაციის ძირითადი შედეგები უნდა იქნეს გამოქვეყნებული დარგის რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში, სამეცნიერო ნაშრომთა კრებულში და მონოგრაფიაებში, რომლებიც ქვეყნდება საქართველოში ან საზღვარგარეთ და ვრცელდება საერთაშორისო დონეზე. სამეცნიერო ნაშრომთა მინიმალური რაოდენობაა 4, რომელთაგან ერთი უნდა იქნეს გამოქვეყნებული საერთაშორისო რეფერირებად გამოცემაში, ერთი მაინც - იმპაქტ-ფაქტორის მქონე გამოცემაში.

დისერტაცია სრულად უნდა ასახავდეს: ინფორმაციას / მონაცემებს სადოქტორო კვლევის აქტუალობის, სამეცნიერო სიახლის, კვლევის მიზნების და ამოცანების შესახებ (შესავალი); სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას სადოქტორო კვლევის თემაზე, ბოლო 10 წლის მონაცემების ჩათვლით; კვლევის მასალისა და მეთოდოლოგიის აღწერას / საკუთარი კვლევის შედეგების მეთოდურ, დეტალურ და თვალსაჩინო აღწერას, სარწმუნო შედეგების კრიტერიუმების აღწერას, საკუთარი კვლევის შედეგების განხილვასა და ანალიზს, მიღებულ სამეცნიერო დასკვნებს, შედეგების სამეცნიერო თეორიულ და/ან პრაქტიკულ მნიშვნელობას, გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის სიას, ინგლისურ ენაზე ნაშრომის ანოტაციას, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას / მონაცემებს თეორიული, სამეცნიერო სიახლის, კვლევის მიზნების და ამოცანების, კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის შესახებ.

სადისერტაციო ნაშრომის ორ რეცენზენტს, რომელთაგან ერთ-ერთი შეიძლება იყოს იმ დეპარტამენტის წარმომადგენელი, რომელშიც შესრულდა სამუშაო, ნიშნავს სტრუქტურული განყოფილების ხელმძღვანელი, იქ სადაც უნდა ჩატარდეს აპრობაცია. რეცენზენტი უნდა იყოს იმ სფეროს დოქტორის აკადემიური ხარისხის მფლობელი, რომელშიც განხორციელდა დისერტაცია. რეცენზენტი შეიძლება იყოს თსსუ-ს აკადემიური პერსონალი, ისევე, როგორც დოქტორის აკადემიური ხარისხის მფლობელი სპეციალისტი. დასკვნაში უნდა შეფასდეს აქტუალობა, სიახლე, ორიგინალობა, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, კვლევის დიზაინისა და მეთოდოლოგიის ადეკვატურობა, კვლევის პირველადი მასალის ობიექტურობა და სანდოობა, ნაშრომის სტრუქტურა, ფორმატირების ხარისხი და ენის ცოდნა. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტის და/ან აპრობაციაზე გამოთქმული შენიშვნები მოპასუხემ უნდა

გამოასწოროს გაზიარების შემთხვევაში, ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ.

საექსპერტო კომისია იქმნება სადისერტაციო საბჭოსგან დოკუმენტაციის მიღებიდან 10 დღის განმავლობაში. საექსპერტო კომისიის შემადგენლობა უნდა იქნეს დამტკიცებული სადისერტაციო საბჭოს მიერ მისი წევრების სიითი უმრავლესობით.

საექსპერტო კომისია შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე 3 წევრისაგან. რეცენზენტი უნდა იყოს იმ სფეროს დოქტორის აკადემიური ხარისხის მფლობელი, რომელშიც განხორციელდა დისერტაცია. რეცენზენტი შეიძლება იყოს თსსუ-ს აკადემიური პერსონალი, ისევე, როგორც დოქტორის აკადემიური ხარისხის მფლობელი სპეციალისტი.

დასკვნაში უნდა შეფასდეს აქტუალობა, სიახლე, ორიგინალობა, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, კვლევის დიზაინისა და მეთოდოლოგიის ადეკვატურობა, კვლევის პირველადი მასალის ობიექტურობა და სანდოობა, ნაშრომის სტრუქტურა, ფორმატირების ხარისხი და ენის ცოდნა. რეცენზენტის დასკვნა უნდა მიეწოდოს სადისერტაციო საბჭოს არაუგვიანეს ერთი თვისა.

დისერტაციის პრეზენტაცია და დაცვა წარმოებს სახელმწიფო ენაზე.

სადისერტაციო საბჭო დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით. ფარული კენჭისყრისათვის აუცილებელია ქვორუმის არსებობა. საბჭოს წევრების მიერ სადისერტაციო ნაშრომისათვის ხარისხის მისანიჭებელი შეფასებისათვის მინიმუმ 51 ქულაა საჭირო.

სადისერტაციო საბჭოს მიერ დისერტაციის შეფასება წარმოებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-10, 11, 12, 13 პარაგრაფების შესაბამისად; სადისერტაციო ნაშრომი უნდა შეფასდეს დაწესებული კრიტერიუმების მიხედვით თითოეული წევრის მიერ ცალ-ცალკე. ნაშრომის საბოლოო შეფასება განისაზღვრება ცალკეული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით. დოქტორანტის მიერ საბოლოო შეფასების შედეგად შესრულებული სამუშაოს "არადამაკმაყოფილებელი" (42-51 ქულა) შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს ეძლევა უფლება წარმოადგინოს დამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი ერთი წლის განმავლობაში. „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“ (41 ქულა) შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

95 -100	შესანიშნავი – საუცხოო დისერტაცია(summa cum laude)
87 -94	მაღიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც ყველა აჭარბებს დადგენილ მოთხოვნებს;
77 -86	კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც აჭარბებს დადგენილ მოთხოვნებს;
66 -76	საშუალო (bene) - შედეგი, რომელიც აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას;
51 -65	დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად მაინც აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;
42 -51	არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) - შედეგი, რომელიც არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;
☐41	სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც სრულიად არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს

1.	ნაშრომის სამეცნიერო სიახლის ხარისხი	0 -10 ქულა
2.	სამუშაოს მიზნისა და ამოცანების ხარისხი და ადეკვატურობა	0 -10 ქულა
3.	კვლევის დიზაინის მეთოდები და მეთოდოლოგიური შესაბამისობა კვლევის ამოცანებთან და /	0 -10 ქულა
4.	შერჩეული კრიტერიუმები კვლევის შედეგების სანდოობისათვის	0 -15 ქულა
5.	კვლევის შედეგების თეორიული ღირებულება;	0 -10 ქულა
6.	კვლევის შედეგების პრაქტიკული ღირებულება;	0 -10 ქულა
7.	ნაშრომის აკადემიური სიზუსტე	0 -10 ქულა
8.	ნაშრომის პრეზენტაციის ინფორმატიულობა და სრულყოფილება	0 -10 ქულა
9.	დისერტაციის ავტორის მიერ სამეცნიერო დისკუსიის ჩატარების ხარისხი	0 -15 ქულა
	სადისერტაციო ნაშრომის შემაჯამებელი შეფასება	0 -100 ქულა

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა "საზოგადოებრივი ჯანდაცვა";
- დებულება "თსსუ-ს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დოქტორანტურის შესახებ"

(დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2010 წლის 7 მაისის #24/5 დადგენილებით);

- დებულება "თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, აქტივობების და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე".
- "სსიპ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების აკადემიური შედეგების შეფასების წესი".
- თსსუ-ს ვებ-საიტი - www.tsmu.edu;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები

რეკომენდაციები:

არ არის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				

3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

უსდ ქმნის სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს სტუდენტებისათვის რელევანტური მომსახურებების უზრუნველყოფით; პროგრამის პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას აღნიშნული მომსახურებების შესახებ, ორგანიზებას უკეთებს სხვადასხვა ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა მხარდაჭერის მომსახურებები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (თსსუ) უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ მონაწილეობას უნივერსიტეტთან დაკავშირებულ სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში. თსსუ ხელს უწყობს სტუდენტთა ინიციატივებს.

სადოქტორო პროგრამა "საზოგადოებრივი ჯანდაცვის" დოქტორანტი დროულად იღებს ინფორმაციას, დახმარებას და კონსულტაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე და კარიერულ განვითარებაზე, ისევე, როგორც სოციალურ მომსახურებებზე.

უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.

უნივერსიტეტში ჩარიცხვისას ყველა სტუდენტთან ფორმდება კონტრაქტი, რომელიც განსაზღვრავს ოფიციალურ ურთიერთობებს სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის. კონტრაქტი განსაზღვრავს სტუდენტის უფლებებს და წარმოადგენს მისი უფლებების დაცვის ოფიციალურ გარანტიას, რაც უზრუნველყოფს მისი უფლებების და სტატუსის სრულ დაცვას.

არჩევითი სასწავლო კურსები გამოიყენება დოქტორანტების ინდივიდუალური მისწრაფებების რეალიზაციის ერთ – ერთი ფორმად. დოქტორანტებისთვის არჩევითი საგნები განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსით; გამჭვირვალებადობა და არჩევანის თავისუფლება უზრუნველყოფილია არჩევითი კურსების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით, რაც ხორციელდება სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, სამაგისტრო და

სადოქტორო პროგრამების სამსახურის აქტიური ჩართულობით, სადოქტორო პროგრამითა და დოქტორანტის კვლევით.

თსსუ – ში ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის სხვადასხვა საკონსულტაციო მომსახურება, მათ შორის, ფაკულტეტის დეკანთან / პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციები.

სხვა შემთხვევებში, განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის, თსსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილია „სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესები“, მომზადებულია ინდივიდუალური კურიკულუმი. თავად სტუდენტს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს გეგმის მომზადებაში. სტუდენტთან შეთანხმებულ ინდივიდუალურ კურიკულუმს ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანი.

თსსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს ”თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით აქტივობების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის დატვირთვის წესის” თანახმად, განსაზღვრულია, რომ აკადემიური პერსონალი სტუდენტების კონსულტაციისთვის გამოყოფს კვირაში მინიმუმ 2 საათს.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური, ასევე, უზრუნველყოფს სტუდენტს სასარგებლო კონსულტაციებით სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების თაობაზე. აღნიშნული სამსახურის ფუნქციები რეგულირდება თსსუ რექტორის ბრძანებით. ამ სამსახურის პრიორიტეტული მიმართულებაა კარიერული მომსახურების გაწევა, სტაჟირების პროგრამების განხორციელება და პოტენციურ დამსაქმებელ კომპანიებთან კომუნიკაცია სტუდენტთა დასაქმების და პროფესიული განვითარების მიზნით.

დოქტორანტებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში, ასევე ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით.

2014-2018 წლებში ერთ-ერთმა დოქტორანტმა მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა პროექტებში (USAID ტუბერკულოზის პრევენციის პროექტი, საქართველოში, World Vision International in Georgia, არასამთავრობო ორგანიზაცია "რეალური ხალხი, რეალური ხედვა", რომელიც ეხმარება აივ-ით ინფიცირებულებს).

თსსუ უზრუნველყოფს სტუდენტთა ყველა ეტაპზე მონაწილეობას, მათ შორის დოქტორანტურის, სტაჟირებისა და საერთაშორისო მობილობის ეტაპებზე; ხელს უწყობს სტუდენტების სწავლასა და კარიერულ განვითარებას საერთაშორისო სივრცეში. ყოველივე ზემოთქმული ძირითადად ხორციელდება საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის რესურსის გამოყენებით. უნივერსიტეტში არსებობს ორმხრივი გაცვლითი პროგრამები, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო მობილობის ფარგლებში (Erasmus +, Erasmus Mundus). გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაცია ღია და გამჭვირვალეა. იგი რეგულარულად ქვეყნდება თსსუ-ს ვებ-გვერდზე.

დოქტორანტების სამეცნიერო კონფერენციები ტარდება ყოველწლიურად სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სამსახურისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით, რომლებზეც დოქტორანტები წარმოდგენენ მათ მიერ შესრულებული ნაშრომის ფრაგმენტებს. მაგალითად, 2016 წელს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის 2-მა დოქტორანტმა მიიღო მონაწილეობა სადოქტორო სამეცნიერო სესიაში (1. ირაკლი გვილავა - "ციტრუსის ექსტრაქტის რადიო-დამცავი მოქმედება (ექსპერიმენტული კვლევა)". სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი თამარ სანიკიძე, ასოცირებული პროფესორი მარიამ გიორგობიანი; 2. ლია გუმბარიძე - "სამედიცინო დაზღვევის განვითარების ეტაპები საქართველოში", სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფ. ლევან ბარამიძე).

თსსუ მხარს უჭერს სტუდენტების მონაწილეობას უნივერსიტეტში და ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე პროექტებსა და აქტივობებში.

ორგანიზაციები, სადაც დოქტორანტები მონაწილეობენ სამეცნიერო პროექტებსა და სამეცნიერო კონფერენციებში: სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება, ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაცია; მედიკოს სტუდენტთა ევროპული ასოციაცია - თბილისი (EMSA); სამედიცინო სტუდენტთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია (IFMSA); ჯანდაცვის ახალგაზრდული ორგანიზაცია.

თსსუ-ს ბიუჯეტში გათვალისწინებულია სტატია სტუდენტური პროექტების დასაფინანსებლად, რომლითაც ფინანსდება სტუდენტური თვითმმართველობა და სხვა მცირე სტუდენტური ორგანიზაციების პროექტები.

თსსუ ხელს უწყობს სტუდენტების მონაწილეობას საერთაშორისო აქტივობებში და ახორციელებს მათ; სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახური ახორციელებს საქმიანობის კოორდინაციას ახალგაზრდული (სტუდენტური) ორგანიზაციების რამდენიმე ქართულ წარმომადგენლობასთან (EMSA, EDSA, EPSA, IFMSA) უნივერსიტეტის ბაზაზე, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს ყოველწლიურად შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გამართულ კონფერენციებსა და შეხვედრებში.

ამასთან, დოქტორანტები აქტიურად მონაწილეობენ თსსუ-ს მართვაში. სტუდენტთა უფლებები და ინტერესები დაცულია მათი წარმომადგენლობით მართვის ორგანოებში: ფაკულტეტის (ებ) საბჭოებში და წარმომადგენლობით საბჭოში. ისინი წარმოდგენილნი არიან კურიკულუმის კომიტეტში. საბჭოს სხდომებზე ისინი სვამენ კითხვებს და მსჯელობენ პრობლემურ საკითხებზე. სტუდენტები (აუცილებლობის შემთხვევაში) წარმოდგენილნი არიან უნივერსიტეტის ეთიკის კომისიაშიც, სადაც განიხილება უნივერსიტეტის რეგლამენტის დარღვევის, სტუდენტების ან პერსონალის მიერ უნივერსიტეტის ეთიკის დარღვევის შემთხვევები.

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ და არჩეულ იქნენ უნივერსიტეტის მმართველ ორგანოებში: ფაკულტეტის საბჭოებში - 25% -იანი, ხოლო წარმომადგენლობით საბჭოში - არანაკლებ 1/3-იანი წარმომადგენლობით. ვინაიდან აკადემიური საბჭო ირჩევს წევრებად ფაკულტეტის საბჭოს წევრებს, მათ არაპირდაპირ ჰყავთ მხარდამჭერი წარმომადგენლები აკადემიურ საბჭოში.

სტუდენტთა უფლებებისა და მოვალეობების მარეგულირებელი ყველა დოკუმენტი განთავსებულია თსსუ-ს ვებ-საიტზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი
- სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდება
- სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანაწესი
- თსსუ რექტორის აპარატის დებულება
- "სტუდენტთა ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების წესი"
- "სსიპ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის აღიარების, შიდა მობილურობისა და კრედიტების აღიარების პროცედურები"
- "თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურა, დიპლომის ფორმების გამოყენება, გაცემა და აღრიცხვა-ანგარიშგება"
- თსსუ-ს და სტუდენტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები (სადოქტორო პროგრამა)
- კურსდამთავრებულთა და დოქტორანტთა პირადი საქმეები
- "თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო და კვლევით აქტივობების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის დატვირთვა"
- თსსუ-ს ვებ-საიტი - www.tsmu.edu;
- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და

ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ ნაშრომის კვალიფიციური ხელმძღვანელები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამა "საზოგადოებრივი ჯანდაცვის" თითოეულ დოქტორანტს ჰყავს უშუალო ხელმძღვანელი და თუ საჭიროა ერთი ან მეტი თანახელმძღვანელი/კონსულტანტი.

სადოქტორო პროგრამის წინასწარი შეფასება ტარდება იმ მიმართულების (დეპარტამენტის) სესიაზე, რომელშიც მომზადდა სადოქტორო კვლევა ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით. პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ემერიტუსი, ან თსსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის აკადემიური დოქტორის ხარისხის მფლობელი მეცნიერ-მკვლევარი. თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

აპრობაციის შემდეგ ტარდება სადოქტორო კვლევითი პროგრამის ექსპერტიზა. სადოქტორო კვლევითი პროგრამების ექსპერტიზა გულისხმობს წარმოდგენილი სადოქტორო კვლევითი პროგრამის სამეცნიერო, მეთოდური და მოსალოდნელი შედეგების თეორიულ და პრაქტიკულ შეფასებას (რომელიც ტარდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სადოქტორო კვლევების შეფასების დადგენილი წესით) აკადემიური კომპონენტის ადეკვატურობის დადგენას პროგრამის შინაარსთან.

სადოქტორო კვლევითი პროგრამა ექსპერტიზისთვის გადაეცემა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელსაც უნდა დაერთოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ

წარმოდგენილი პროგრამის განხილვის დასკვნა.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს სადოქტორო კვლევითი პროგრამის შეფასებას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ექსპერტიზის დასრულებიდან 10 დღის განმავლობაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოამზადებს შესაბამის რეკომენდაციებს, რომლებსაც წარუდგენს სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სამსახურს, ხოლო ეს უკანასკნელი, კი - სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს.

დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მოამზადოს და წარუდგინოს სადოქტორო კვლევითი პროგრამა შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, ან გამოთქვას დასაბუთებული უარი შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე.

დოქტორანტურის კვლევითი პროგრამის ხარჯთაღრიცხვას აწარმოებს თსუ-ს ეკონომიკური განყოფილება, რომელსაც ამტკიცებს თსუ წარმომადგენლობითი საბჭო. სამეცნიერო გრანტით დაფინანსებული პროგრამები ფაკულტეტზე არ ექვემდებარება ფინანსურ ექსპერტიზას.

თუ დოქტორანტურის კვლევითი პროგრამა ითვალისწინებს ადამიანის ჩარევას ან / და ადამიანის ბიოლოგიური მასალების ან / და მონაცემების, აგრეთვე ცხოველებზე ექსპერიმენტის ჩატარებას, მაშინ პროგრამა და თანმხლები დოკუმენტაცია პროგრამის სამეცნიერო კომპონენტის ეთიკური შეფასებისთვის გადაეცემა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიომედიკალური კვლევის ეთიკის კომიტეტს, რომლის დადებითი დასკვნა აუცილებელია სადოქტორო კვლევის პროგრამის დასამტკიცებლად.

ფაკულტეტის დეკანი სადოქტორო კვლევით პროგრამასთან ერთად ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს ექსპერტიზის და ეთიკური შეფასების მასალებს. ფაკულტეტის საბჭოს პოზიტიური დასკვნის და პრორექტორის მიერ ვიზირების შემდეგ, პროგრამა გადაეცემა აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად. აკადემიური საბჭო ამტკიცებს სადოქტორო კვლევით პროგრამას და მის ხელმძღვანელს.

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სადოქტორო კვლევითი პროგრამა ქვეყნდება უნივერსიტეტის ბეჭდურ ორგანოში, განთავსდება ვებგვერდზე და ცხადდება კონკურსი ჩარიცხვაზე.

დოქტორანტურის დამტკიცებულ კვლევით პროგრამაში ცვლილებების შეტანა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ფაკულტეტის საბჭოსა და პრორექტორის შუამდგომლობის საფუძველზე.

თსუ-ს შემუშავებული აქვს დოქტორანტურის კვლევითი პროგრამის ხელმძღვანელის უფლებებისა და პასუხისმგებლობების დოკუმენტი.

პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია შემდეგ საკითხებზე: დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე სადისერტაციო კვლევის განხორციელების პროცესში, დოქტორანტის მიერ სამეცნიერო ლიტერატურის მოძიებასა და დამუშავებაში მონაწილეობაზე, არჩეული მეთოდების დაუფლებასა და კვლევითი მუშაობის მაღალ დონეზე წარმართვაზე, სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადებაზე; დოქტორანტისთვის კონდულტაციის გაწევაზე, მათ შორის დოქტორანტის მიერ სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის დაგეგმვისა და განხორციელების საკითხებზე; დოქტორანტის მიერ დისერტაციის სათანადო აკადემიურ დონეზე მომზადებისა და დადგენილ ვადაში წარდგენისთვის პირობების უზრუნველყოფაზე.

სადოქტორო კვლევითი პროგრამის ხელმძღვანელი, დოქტორანტთან ერთად, პასუხისმგებელია სადისერტაციო შედეგების სამეცნიერო და პრაქტიკული / გამოყენებითი მნიშვნელობაზე, კვლევის დიზაინის და მეთოდოლოგიის ადეკვატურობაზე, პირველადი მასალის ობიექტურობასა და სანდოობაზე, ნაშრომის დიზაინის და ენის ხარისხზე, ნაშრომის ძირითადი შედეგების თვითმყოფადობის / სამეცნიერო სიახლის გათვალისწინებით.

სადოქტორო კვლევითი პროგრამის ხელმძღვანელი თანამშრომლობს სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახურთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსთან.

სადოქტორო კვლევითი პროგრამის ხელმძღვანელს თითოეული სასწავლო წლის განმავლობაში, შეიძლება ჰყავდეს, როგორც წესი, არა უმეტეს სამ დოქტორანტის.

თსსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 3 ოქტომბრის №23 / 10 დადგენილების „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის დატვირთვაზე“ თანახმად, სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელი, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ითვალისწინებს ხელმძღვანელის ზღვრულ დატვირთვას სააუდიტორიო / საკონტაქტო საათებით სემესტრში არაუმეტეს 30 საათისა; ორი ან მეტი დოქტორანტის ხელმძღვანელობის შემთხვევაში - არაუმეტეს 50 საათისა სემესტრის განმავლობაში.

კვლევის ხელმძღვანელი დოქტორანტთან ერთად, მისი მიღების შემდეგ, ადგენს დოქტორანტურის კვლევის ინდივიდუალური პროგრამის სასწავლო კომპონენტის კრედიტების განაწილებასა და დოქტორანტთა დატვირთვებს, რაც დეტალურადაა ასახული დოქტორანტის კვლევით გეგმაში და თანდართულ / შემადგენელ ნაწილში - სილაბუსებში, მათშესრულებას, კი აკონტროლებს სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სამსახური.

კვლევის ზედამხედველობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელს; სადოქტორო პროგრამის აკადემიური კომპონენტის შესრულებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებლობა (მათ შორის - ცალკეული დოქტორანტის კვლევის დარგის გათვალისწინება) გადაეცემათ პროგრამის ხელმძღვანელებს, რომლებიც მოქმედებენ სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სამსახურთან ერთად.

სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია სადოქტორო დისერტაციის ხარისხზე, რაც გულისხმობს: თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას, კვლევის დიზაინისა და მეთოდოლოგიის ადეკვატურობას, კვლევის პირველადი მასალის ობიექტურობასა და სანდოობას, ნაშრომის სტრუქტურას, ფორმატირების ხარისხსა და ენის ცოდნას, ნაშრომის თვითმყოფადობასა და ძირითად შედეგებს.

კვლევის დარგის გამო, დოქტორანტის მიერ ნაშრომის შესრულება, როგორც წესი, ტარდება შესაბამისი პროფილის სამეცნიერო და პრაქტიკულ დაწესებულებებში.

სადისერტაციო საბჭოსათვის დისერტაციის წარდგენის წინაპირობას წარმოადგენს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული (სასწავლო კომპონენტი) კურსების განხორციელება და სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი განხილვა იმ დეპარტამენტში, რომელშიც ჩატარდა სადოქტორო კვლევა.

დისერტაციის ძირითადი შედეგები ყოველთვის ქვეყნდება მიმოხილვაში როგორც სამეცნიერო ნაშრომები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო სამეცნიერო სამსახურის უფროსების უფლებები და მოვალეობები;
- თსსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 3 ოქტომბრის №23/10 დადგენილება
- " თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო და კვლევითი აქტივობების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის დატვირთვა"
- სადოქტორო პროგრამა "საზოგადოებრივი ჯანდაცვის" განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები.
- თსსუ-ს დოქტორანტურის დებულება.
- ფაკულტეტის საბჭოს დამადასტურებელი ოქმები დოქტორანტურის თემებზე და ხელმძღვანელებზე.
- ბრძანებები სადოქტორო თემების დაცვის შესახებ, საზოგადოებრივი ჯანდაცვის

დოქტორის დიპლომის გაცემის ბრძანებები.
რეკომენდაციები: არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: გაიზარდოს ფინანსური დახმარება თსსუ-ს მხრიდან სტუდენტებისა და პროფესორების კონფერენციებში მონაწილეობაზე და სტუდენტთა სტატიების პუბლიკაციებზე, სადაც გათვალისწინებულია ხარჯების გაწევა სტუდენტთა მხრიდან.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა				

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსები
➤ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის

რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა

და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის მდგრად წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. იგი უშუალოდ ახართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

აღწერა და შეფასება

თსუ-ში პროგრამის განმახორციელებელი პირები ჩართულნი არიან პროგრამაში მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესაბამისად.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პერსონალის მენეჯმენტი ხორციელდება ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტებით, კერძოდ, წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით. აგრეთვე მმართველი ორგანოების მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც მიმოიხილავს ადამიანური რესურსების შერჩევას, დასაქმებას, პროფესიულ განვითარებასა და მოტივაციას.

უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი შეირჩევა ღია კონკურსის საფუძველზე, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე და 35-ე მუხლებისა და "თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო კომისიის დებულების" შესაბამისად, რომელიც დამტკიცდა თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2015 წლის 27 აპრილის #23/6 დადგენილებით, სადაც ჩამოთვლილია კონკურსში წარსადგენი დოკუმენტები და კონკურსის ჩატარების წესი.

უნივერსიტეტში ასევე შემუშავებულია „აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია თსუ-ს პროგრამების შესაბამისად“, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის აფილირების წესი“, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის დატვირთვა“, "სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის წესი".

სადოქტორო პროგრამა „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია დადასტურებულია

პროგრამის მოსალოდნელი შედეგებისთვის საჭირო ცოდნით, გამოცდილებითა და კომპეტენციით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ან / და მკვლევარების სასწავლო პროგრამაში ჩართვის ერთ – ერთი მთავარი კრიტერიუმია მათი კვლევითი საქმიანობა, რომელიც დადასტურებულია სამეცნიერო / სამეცნიერო-მეთოდური პუბლიკაციებით. პრიორიტეტულია პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე გამოცემებში. მოწვეული მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი კრიტერიუმია მისი პრაქტიკული ან / და აკადემიური გამოცდილება.

